საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7130/01
08/07/2021

7130-01-2-202107082050

შპს „ჯონოული 2"-ს

მის: ქ. თბილისი, დავით გამრეკელის ქ. N19

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 16 ივნისის სკოპინგის განცხადება, რომელიც ეხება ცაგერის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჯონოულზე 32 მგვტ. დადგმული სიმძლავრის „ჯონოული 2 ჰესის" მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით სამინისტროს 2020 წლის 23 სექტემბრის N9085/01 წერილით, გეცნობათ ცაგერის მუნიციპალიტეტის, სოფ. ჩქუმისა და სოფ. ქულბაქის მოსახლეობის მიერ სამინისტროში წარმოდგენილი შენიშვნები და მოსაზრებები. აგრეთვე, 2020 წლის 9 დეკემბერს ჩქუმის თემისა და გადმოღმა ლეჩხუმის მოსახლეობის მიერ, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, სამინისტროში წარმოდგენილი იქნა შენიშვნები და მოსაზრებები, რომელიც გამოგზავნილი იქნა სამინისტროს 2021 წლის 1 თებერვლის N 719/01 წერილით. სამინისტროს N9085/01 და N 719/01 წერილების თანახმად, შპს „ჯონოული 2"-ს უნდა უზრუნველყო დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირება და შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენა.

წარმოდგენილ სკოპინგის დოკუმენტაციაში განხილული არ არის სამინისტროს N9085/01 და N719/01 წერილებით განსაზღვრულ საკითხებზე რეაგირებასთან დაკავშირებით, დაინტერესებული საზოგადოების ინფორმირებისა და შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

სამინისტრო, სკოპინგის დასკვნის გაცემის მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე